მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

საქართველოს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენციაზე

მომხსენებლის განაცხაის შევსების

გზამკვლევი

21-23 ნოემბერი, 2014 წ.

რა გვსურს რომ მოხსენებებში იყოს წარმოდგენილი?

დაგეგმე სხვებისგან გამორჩეული სესია

ხშირად დასმული შეკითხვები მომხსენებლის განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით

მომხსენებლის განაცხადის ფორმა

სესიის შინაარსი

რა გვსურს რომ მოხსენებებში იყოს წარმოდგენილი?

საგანმანათლებლო კონფერენციების მიზანი ზოგადად არის, დაეხმაროს განათლების სფეროში მოღვაწე პირებს უზრუნველყონ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის შესაბამისი უნარების განვითარება: სწავლის და გამომგონებლობის უნარ-ჩვევები, კრეატიული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა, სასიცოცხლო და კარიერული უნარ-ჩვევები, საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები.

შესაბამისად, საქართველოს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენციის ფარგლებში ჩვენ ვეძებთ მოხსენებებს, რომლებიც:

- წარმოაჩენენ მოსწავლეზე-ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობას, ინდივიდუალიზებულ და დიფერენცირებულ მიდგომებს, პროექტებზე და პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობას, რომლებიც თანამედროვე პედაგოგიკას და კვლევების შედეგებს ემყარება;
- გაზრდის მონაწილეების ცოდნას ტექნოლოგიებსა და შესაბამის სასწავლო მეთოდოლოგიაზე;
- მონაწილეებს გააცნობს სხვადასხვა მოდელს, სტრატეგიას, სისტემას და/ან საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს ციფრული ეპოქის შესაბამისი სწავლების დანერგვის უზრუნველსაყოფად, როგორც ფორმალურ და არაფორმალურ, ისე დისტანციურ თუ ფიზიკურ გარემოში;

- პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე წარმოაჩენს სხვადასხვა მოდელს, თუ როგორ შეიძლება ისტ-ისა და საგნობრივი სტანდარტების მიღწევა სასწავლო პროცესში;
- ხელს შეუწყობს მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებში საგანმანათლებლო ლიდერის უნარების განვითარებას;
- საგანმანათლებლო სფეროში ტექნოლოგიების ინტეგრირების უზრუნველსაყოფად მრავალფეროვან ინსტრუმენტებს გააცნობს განსხვავებული ისტ უნარების მქონე მომხმარებელს.

დაგეგმე სხვებისგან გამორჩეული სესია

სესიის დასაგეგმად მიჰყევით ამ მარტივ საფეხურებს:

საფეხური 1. გაეცანით თქვენს სავარაუდო აუდიტორიას.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სხვადასვა საგნის მასწავლებლები
- სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები
- უნივერსიტეტის წარმომადგენლები
- ტრენერები (მათ შორის ისტ ტრენერები)
- სკოლის ინფორმაციული მენეჯერები
- ისტ კომპანიების წარმომადგენლები
- IT და საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერები

საფეხური 2. შეარჩიე თემატური მიმართულება

კონფერენცია ხუთ თემატურ მიმართულებას მოიცავს. შეარჩიე ერთ-ერთი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავთ თქვენს სესიას.

1. სწავლა და სწავლება ციფრულ ეპოქაში
2. მენეჯმენტი და ლიდერობა ისტ-ის დახმარებით

3. პროფესიული განვითარება
4. კვლევები სწავლა-სწავლებაში ისტ-ის გამოყენებაზე
5. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა

საფეხური 3. შეარჩიე შესაბამისი ფორმატი

შეარჩიე ფორმატი, რომელიც სესიით დაგეგმილი შედეგების მიღწევას საუკეთესოდ უზრუნველყოფს.

- ლექცია

  ტრადიციული ფორმატის ლექციაა. მოიცავს 45 წუთს.

- პლენარული სესია

  მონაწილეობს 1 მოდერატორი და 2-3 პანელისტი. მოიცავს 45 წუთს.

- ინტერაქტიური ლექცია

  გულისხმობს მსმენელების ჩართვას ერთ ან მეტ აქტივობაში. მოიცავს 45 წუთს.

- პრეზენტაცია

  მოიცავს სპეციფიური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების და/ან ინსტრუმენტების გაცნობას მსმენელებისთვის. მოიცავს 45 წუთს.

- პოსტერების სესია

  პოსტერის ავტორ(ებ)ი დაინტერესებულ მონაწილეებს პირისპირ ან მცირე ჯგუფებში კითხვა-პასუხის რეჟიმში აცნობს პოსტერზე დატანებულ ინფორმაციას საგამოფენო დარბაზში გამართულ სპეციალურ სესიაზე. მოიცავს 2 საათს.

- ტექნოლოგიების სესია „მოიტანე შენი საკუთარი მოწყობილობა“ (BYOD)

  მონაწილეებს მოაქვთ პირადი ტექნიკური მოწყობილობა (სმარტფონი, პლანშეტური კომპიუტერი ან ნოუთბუქი) სესიის პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად. მოიცავს 45 წუთს.

ნაბიჯი 4. შეავსე მომხსენებლის განაცხადი

განაცხადი შეავსეთ ონლაინ რეჟიმში, კონფერენციის საიტზე: www.getc.ge

ხშირად დასმული შეკითხვები მომხსენებლის განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით

- სად განვათავსო ჩემი განაცხადი?

  განაცხადი უნდა შეივსოს ონლაინ რეჟიმში, კონფერენციის საიტზე www.getc.ge. რეგისტრაციის ფორმაში, მონაწილეობის სტატუსში ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ „მომხსენებელი“. სისტემა ავტომატურად გამოიტანს ეკრანზე გრაფებს, რომელიც მომხსენებელმა უნდა შეავსოს.

- რა მოხდება თუ განაცხადის შევსების დასრულება ვერ მოვახერხე პირველივე ჯერზე?

  იმ შემთხვევაში თუ განაცხადის შევსება პირველივე ჯერზე ვერ დაასრულეთ, სისტემა საშუალებას გაძლევთ შევსებული ნაწილი შეინახოთ და მოგვიანებით განაგრძოთ მუშაობა. შეტყობინება განაცხადის დასრულების თხოვნის შესახებ რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მოგივათ. განაცხადის დასასრულებლად შეგიძლიათ ელექტრონულ წერილში მითითებულ ლინკს მიყვეთ, ან საიტზე გაიაროთ ავტორიზაცია, როგორც დარეგისტრირებულმა მომხმარებელმა (უკვე არსებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით) და განაგრძოთ განაცხადზე მუშაობა.

- საიტზე დარეგისტრირება აუცილებელია განაცხადის შესავსებად?

  დიახ, საიტზე დარეგისტრირება აუცილებელია. გახსენით კონფერენციის საიტი www.getc.ge და შეარჩიეთ მენიუ „რეგისტრაცია“. გრაფაში “მონაწილეობის სტატუსი“ ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ „მომხსენებელი“. სისტემა ავტომატურად გამოიტანს ეკრანზე გრაფებს, რომელიც მომხსენებელმა უნდა შეავსოს.

- შემიძლია თუ არა ერთზე მეტი განაცხადის გამოგზავნა?

  შეგიძლიათ რამდენიმე განაცხადი გამოგზავნოთ, თუმცა მხოლოდ ერთი იქნება შერჩეული კონფერენციაზე მოხსენებისთვის.

- როდის არის მომხსენებლის განაცხადის შევსების ბოლო ვადა?

  მომხსენებელს განაცხადის შევსება შეუძლია 2014 წლის 15 ოქტომბერამდე (23:59 წთ.). ვადის ამოწურვის შემდეგ საიტზე განაცხადის ატვირთვა შესაძლებელი აღარ იქნება.

- როგორ გავიგო ჩემი განაცხადი შეფასების კომისიამ მოიწონა თუ არა?

  კონფერენციის ორგანიზატორები რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეგატყობინებენ მოხსენება შერჩეულია თუ არა კონფერენციისთვის, არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, 2014 წ.

- უფრო მეტად რა თემებს მიეცემა უპირატესობა კონფერენციაზე?

ნებისმიერი თემა საინტერესო იქნება, რომელიც საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ტენდეცნიებს ასახავს და კონფერენციის 5 თემატური მიმართულებებიდან ერთ-ერთს პასუხობს. ეს მიმართულებებია:

1. სწავლა და სწავლება ციფრულ ეპოქაში

2. მენეჯმენტი და ლიდერობა ისტ-ის დახმარებით

3. პროფესიული განვითარება

4. კვლევები სწავლა-სწავლებაში ისტ-ის გამოყენებაზე

5. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა

- რა ფორმით წარმოვადგინო ჩემი მოხსენება კონფერენციაზე?

შერჩეული თემის წარმოსადგენად უნდა შეარჩიოთ ერთ-ერთი ფორმატი:

- ლექცია - მოხსენებას ტრადიციული ლექციის სახით წარმოადგენთ. სასურველია ლექციისთვის გამოყოთ 30 ან 35 წთ, და კითხვა-პასუხის ნაწილს 10-15 წთ. დაუთმოთ. სულ სესიას 45 წუთი დაეთმობა.
- პლენარული სესია - გაითვალისწინეთ, რომ სესიას უნდა ყავდეს ერთი მოდერატორი და 2 ან 3 პანელისტი. სასურველია, თითოეული მომხსენებლის გამოსვლას 10-15 წუთი დაუთმოთ, და მონაწილეებთან ინტერაქციისთვის ბოლო 10-15 წუთი დაიტოვოთ. სულ სესიას 45 წუთი დაეთმობა.
- პრეზენტაცია - მომხსენებელი მონაწილეებს გააცნობს სპეციფიურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს და/ან ინსტრუმენტებს, რომელიც სხვადასხვა სასწავლო ამოცანის გადაჭრას ემსახურება მიზნად. სულ სესიას 45 წუთი დაეთმობა.
- პოსტერების სესია - პოსტერების სესია 21 ნოემბერს საღამოს 5-დან 7 სთ-მდე გაიმართება სპეციალურად გამოყოფილ საგამოფენო დარბაზში. პოსტერის ავტორს შეუძლია სკოლის ან ცალკეული მასწავლებლისა თუ წარმატებული პროექტის შესახებ წარმოადგინოს ინფორმაცია. პოსტერების სესია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოვლენას და გაზიარებას ისახავს მიზნად. სესია ისე იქნება მოწყობილი, რომ ავტორს მონაწილეებთან პირისპირ ან მცირე ჯგუფებში შეეძლოს ინტერაქცია.

პოსტერების სესიის მომზადებისა და პოსტერების წარმოდგენის ფორმასთან დაკავშირებით მასწავლებლის სახლში სამუშაო შეხვედრა გაიმართება, რომელზეც დასწრებას შეძლებენ ავტორობის მსურველები.

- ტექნოლოგიების სესია „მოიტანე შენი საკუთარი მოწყობილობა“ (BYOD – Bring your own device) – სესია პრაქტიკულ სამუშაოს მოიცავს კომპიუტერულ მოწყობილობებთან. მონაწილეები პირადი სმარტფონით, პლანშეტური კომპიუტერითა და ლებტოპებით შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ სესიაში და ადგილზე პრაქტიკულად შეასრულო დავალებები.

- მსურს მონაწილეობა მივიღო პოსტერების სესიაში, სად შეიძლება მივიღო ინფორმაცია პოსტერის წარმოდგენის ფორმასთან დაკავშირებით?

პოსტერების სესიის მომზადებისა და პოსტერის წარმოდგენის ფორმასთან დაკავშირებით მასწავლებლის სახლში სამუშაო შეხვედრა გაიმართება. შეხვედრაზე დასწრებას შეძლებენ ის პირები, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს, როგორც მომხსენებლებმა და განაცხადის გრაფაში „სესიის ფორმატი“ ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეს „პოსტერების სესია“. დამატებით ინფორმაციას სამუშაო შეხვედრის შესახებ დარეგისტრირებული პირები ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებენ.

პოსტერების სესია 22 ნოემბერს საღამოს 5-დან 7 სთ-მდე გაიმართება სპეციალურად გამოყოფილ საგამოფენო დარბაზში. პოსტერის ავტორს შეუძლია სკოლის ან ცალკეული მასწავლებლისა თუ წარმატებული პროექტის შესახებ წარმოადგინოს ინფორმაცია. პოსტერების სესია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოვლენას და გაზიარებას ისახავს მიზნად. სესია ისე იქნება მოწყობილი, რომ ავტორს მონაწილეებთან პირისპირ ან მცირე ჯგუფებში შეეძლოს ინტერაქცია.

- როგორ შეფასდება ჩემი მოხსენება?

განაცხადებს სპეციალურად შექმნილი შეფასების კომისია შეაფასებს. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება:

- თემის მიზნობრიობა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ჭრილში
- თემის საგანმანათლებლო მნიშვნელობა და შესაბამისობა კონფერენციის მიმართულებებთან
- ტექნოლოგიების გამოყენების მიზნობრიობა
- წარმოდგენილი იდეის/ინფორმაციის/მოდელის პრაქტიკაში დანერგვისა და გავრცელების შესაძლებლობა

- მომხსენებლის ცოდნა და გამოცდილება თემასთან მიმართებაში.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, საიტის მენიუდან "დაგვიკავშირდით" შეავსეთ საკონტაქტო ფორმის გრაფები, "წერილში" ჩაწერეთ შეკითხვა. კონფერენციის ორგანიზატორები საკონტაქტო ფორმაში მითითებულ ელ.ფოსტაზე ან ტელეფონზე დაგიკავშირდებიან.

მომხსენებლის განაცხადის ფორმა

სტანდარტულად შესავსები პირადი და სამუშაო ადგილის ველების შევსების შემდეგ, სისტემა მოითხოვს ინფორმაციას სესიის შესახებ. ქვემოთ, მოცემული ინსტრუქცია დაგეხმარებათ სრულყოფილად შეავსოთ ინფორმაცია სესიის შესახებ. * სიმბოლოთი მონიშნულია სავალდებულო გრაფები, რომლის შევსებასაც მოითხოვს განაცხადის ფორმა რეგისტრაციის წარმატებით დასასრულებლად.

* თემატური მიმართულება (ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ <u>ერთი</u> მიმართულება, რომელსაც პასუხობს თქვენი სესია)

1. სწავლა-სწავლება ციფრულ ეპოქაში - მიმართულება მოიცავს ტენოლოგიების სასწავლო გარემოში ინტეგრირების ნებისმიერ ასპექტს, ინოვაციურ მიდგომებს, მიმდინარე ტენდენციებს, სწავლა-სწავლებაში ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო გამოცდილების მაგალითებს, ისტ სტანდარტების ინტეგრირებისა და სკოლაში ისტ-ის დანერგვის სტრატეგიებს და ა.შ.
2. პროფესიული განვითარება - მოიცავს მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა თუ საგანმანათლებლო სფეროში დასაქმებული სხვა პირების უნარების განვითარებას, ციფრული ეპოქის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად.
3. მენეჯმენტი და ლიდერობა ისტ-ის დახმარებით - მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებში ტექნოლოგიების როლის შესახებ ხედვის ჩამოყალიბებასა და განვითარებას სხვადასხვა დონეზე; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, შეფასებასა და პერსონალის ხელშეწყობას ისტ-ის დახმარებით.
4. კვლევები სწავლა-სწავლებაში ისტ-ის გამოყენებაზე - მოიცავს კვლევებს საგანმანათლებლო სივრცეში ტექნოლოგიების ინტეგრირების შესახებ.

5. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა - მოიცავს იმ ტექნოლოგიების, რესურსებისა და სტრატეგიების გაცნობას, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის, ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისა და ადმინისტრირებისთვის.

* საგანი (მონიშნეთ ის საგანი ან საგნები, რომელსაც პასუხობს თქვენი სესია)

- ბუნებისმეტყველება
- ზრდასრულთა განათლება
- რუსული ენა
- ფრანგული ენა
- გერმანული ენა
- ინგლისური ენა
- მუსიკა
- სპორტი
- ისტ
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
- უცხო ენა
- მათემატიკა
- ქართული, როგორც მეორე ენა
- ქართული ენა და ლიტერატურა
- ყველა

* სესიის თემა (ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ <u>ერთი ან რამდენიმე</u> მიმართულება, რომელსაც პასუხობს თქვენი სესია)

- 1:1 ელ-სწავლების სტრატეგია და იმპლემენტაცია
- შეფასება
- გამოთვლები ღრუბლებში (cloud computing)
- თემის ჩართულობა
- ელექტრონული ინსტრუმენტები/რესურსები
- დიფერენცირებული სწავლება
- ციფრული ერის შესაბამისი სკოლის დიზაინი/დაგეგმარება
- დისტანციური, ონლაინ და შერეული სწავლება

- საგანმანათლებლო პოლიტიკა და ხედვა
- თანამედროვე ტენდენციები ტექნოლოგიებში
- თამაშები და სიმულაციები
- ინოვაციური სასწავლო გარემო
- სწავლების დიზაინი და მიწოდების ფორმები
- წიგნიერება ციფრულ ერაში
- მობილურით სწავლება
- ონლაინ პროფესიული განვითარება
- ღია კოდის საგანმანათლებლო რესურსები
- ინდივიდუალიზებული სწავლება
- პროფესიული განვითარება
- პროგრამირება და რობოტები
- სტანდარტები
- მულტიმედია რესურსები
- მასწავლებლების მომზადება

* სამიზნე აუდიტორია (ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი თუ ვისთვის არის განკუთვნილი თქვენი სესია)

- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები
- საბაზო საფეხურის მასწავლებლები
- საშუალო საფეხურის მასწავლებლები
- სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები
- უნივერსიტეტის წარმომადგენლები
- ტრენერები
- სკოლის ინფორმაციული მენეჯერები
- ისტ კომპანიების წარმომადგენლები
- IT და საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერები

* სესიის ფორმატი (ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ ერთი ფორმატი, რომელსაც გამოიყენებთ სესიის ჩასატარებლად)

- ლექცია - მოხსენებას ტრადიციული ლექციის სახით წარმოადგენთ. სასურველია ლექციისთვის გამოყოთ 30 ან 35 წთ, და კითხვა-პასუხის ნაწილს 10-15 წთ. დაუთმოთ. სულ სესიას 45 წუთი დაეთმობა.
- პლენარული სესია - გაითვალისწინეთ, რომ სესიას უნდა ყავდეს ერთი მოდერატორი და 2 ან 3 პანელისტი. სასურველია, თითოეული მომხსენებლის გამოსვლას 10-15 წუთი დაუთმოთ, და მონაწილეებთან ინტერქციისთვის ბოლო 10-15 წუთი დაიტოვოთ. სულ სესიას 45 წუთი დაეთმობა.
- პრეზენტაცია - მომხსენებელი მონაწილეებს გააცნობს სპეციფიურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს და/ან ინსტრუმენტებს, რომელიც სხვადასხვა სასწავლო ამოცანის გადაჭრას ემსახურება მიზნად. სულ სესიას 45 წუთი დაეთმობა.
- პოსტერების სესია - პოსტერების სესია 21 ნოემბერს საღამოს 5-დან 7 სთ-მდე გაიმართება სპეციალურად გამოყოფილ საგამოფენო დარბაზში. პოსტერის ავტორს შეუძლია სკოლის ან ცალკეული მასწავლებლისა თუ წარმატებული პროექტის შესახებ წარმოადგინოს ინფორმაცია. პოსტერების სესია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოვლენას და გაზიარებას ისახავს მიზნად. სესია ისე იქნება მოწყობილი, რომ ავტორს მონაწილეებთან პირისპირ ან მცირე ჯგუფებში შეეძლოს ინტერაქცია.

  პოსტერების სესიის მომზადებისა და პოსტერების წარმოდგენის ფორმასთან დაკავშირებით მასწავლებლის სახლში სამუშაო შეხვედრა გაიმართება, რომელზე დასწრებასაც შეძლებენ ავტორობის მსურველები.
- ტექნოლოგიების სესია „მოიტანე შენი საკუთარი მოწყობილობა“ (BYOD – Bring your own device) – სესია პრაქტიკულ სამუშაოს მოიცავს კომპიუტერულ მოწყობილობებთან. მონაწილეები პირადი სმარტფონით, პლანშეტური კომპიუტერითა და ლებტოპებით შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ სესიაში და ადგილზე პრაქტიკულად შეასრულო დავალებები.

* სწავლების საფეხური (ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ ერთი ან რამდენიმე სწავლების საფეხური, რომელზეც შეიძლება გამოიყენონ თქვენი სესიის შინაარსი)

- დაწყებითი
- საბაზო
- საშუალო
- უნივერსიტეტი

- სხვა

* სესიის სათაური

სესიისთვის შეარჩიეთ სათაური (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობაა 10), რომელიც სესიის შინაარს აღწერს და მონაწილეთა დაინტერესებას გამოიწვევს.

* სესიის მოკლე აღწერა

მაქსიმუმ 25 სიტყვით მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ სესიის შინაარსი. გაითვალისწინეთ, რომ ამ გრაფაში შევსებულ ინფორმაციას კონფერენციის ნაბეჭდ პროგრამებსა და საიტზე განსათავსებლად გამოიყენებენ ორგანიზატორები.

სესიის განსაკუთრებული გარემოება

შეგიძლიათ მონიშნოთ თუ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან, რომელი მიესადაგება თქვენს სესიას:

- სესიის თანაწამყვანი იქნება სკოლის მოსწავლე (ნებისმიერი კლასის მოსწავლე 1-12-ის ჩათვლით).
- სესიაზე წარმოდგენილი იქნება პროექტი/შინაარი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას.
- სესიის მომხსენებელს პრეზენტაცია აქვს გაკეთებული იგივე ან მსგავს თემაზე საერთაშორისო კონფერენციაზე.

* საკვანძო სიტყვები

დაწერეთ და ერთმანეთისგან მძიმეებით გამოყავით მაქსიმუმ ხუთი საკვანძო სიტყვა, რომელიც საუკეთესოდ აღწერს თქვენს სესიას.

ვებ-გვერდის მისამართი

საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ იმ ვებგვერდის მისამართი, რომელიც სესიისთვის გჭირდებათ და გსურთ მითითებული იყოს აღწერაში.

ისტ სტანდარტი

საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ ისტ-ის რომელი სტანდარტის შესრულებას უწყობს ხელს თქვენი სესია.

სხვა საგნის სტანდარტი

საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ რომელი საგნობრივი სტანდარტის შესრულებას უწყობს ხელს თქვენი სესია.

როგორ პასუხობს თქვენი სესია კონკრეტული სტანდარტის შესრულებას

იმ შემთხვევაში თუ ზემოთ გრაფაში მიუთითეთ ისტ და/ან საგნობრივი სტანდარტი, გთხოვთ აღწეროთ როგორ პასუხობს თქვენი სესია ამ სტანდარტის მიღწევას.

გთხოვთ, მონიშნეთ გრაფა, იმ შემთხვევაში თუ სესიაზე წარმოდგენილი იქნება ფასიანი პროდუქცია/სერვისი

მონიშნეთ შესაბამისი გრაფა იმ შემთხვევაში თუ სესიაზე წარმოდგენილი იქნება ისეთი ორგანიზაციის პროდუქცია/სერვისი, რომელიც მოგებაზე ორიენტირებულია. ზოგიერთი სესია, შეიძლება იყენებდეს ისეთ ტექნოლოგიებს ან აპლიკაციებს, რომლებიც კომერციულია. ეს დასაშვებია, თუ შესაბამისად არის აღნიშნული გრაფა, რომელიც კომერციული პროდუქტის გამოყენებას ადასტურებს.

* ისტ უნარების დონე (ჩამოსაშლელი მენიუდან შეარჩიეთ <u>ერთი ან რამდენიმე</u> გრაფა)

კონფერენციის სრული პროგრამა იმგვარად უნდა შედგეს, რომ სხვადასხვა ისტ უნარების მქონე ადამიანებს შეეძლოთ მასში თანასწორად მონაწილეობა. თქვენი სესიით შეგიძლიათ ერთი დონის მომხმარებელზე ფოკუსირდეთ მხოლოდ, ან სხვადსხვა დონე მოიცვათ, შესაბამისად მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე გრაფა.

- დამწყები - საბაზო უნარებს ფლობს, ან არ აქვს ისტ-თან მუშაობის გამოცდილება. წინარე ცოდნა საჭირო არ არის.
- საშუალო დონის მომხმარებელი - ძირითადი კომპეტენციებს ფლობს, ტექნოლოგიების მოხმარების წინარე ცოდნა აქვს.
- გამოცდილი მომხმარებელი - მნიშვნელოვან უნარებს ფლობს, ისტ-თან მუშაობის საფუძვლიანი გამოცდილება აქვს.

წინარე ცოდნა

თუ თვლით, რომ მონაწილე სესიაში მონაწილეობისთვის კონკრეტულ საკითხზე ცოდნას ან უნარებს უნდა ფლობდეს, გთხოვთ მიუთითეთ ამ გრაფაში.

* სესიის ხანგრძლივობა

ჩამოსაშელელი მენიუდან შეარჩიეთ სესსის ჩატარების ხანგრძლივობა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ კონფერენცია ავტომატურად გულისხმობს 1 საათიან პერიოდს (45 წუთი აქტიური პერიოდი) თითოეული სესიისთვის. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი სესია მეტ დროს საჭიროებს, დაასაბუთეთ სესიის აღწერაში, რომ ორგანიზატორებმა ცვლილება განახორციელონ პროგრამაში.

* სესიის გარემო

გთხოვთ, მიუთითეთ რა ტიპის ტექნოლოგია გჭირდებათ, იმისათვის რომ მონაწილემ სრულფასოვნად მიიღოს მონაწილეობა სესიაში.

- ანდროიდი
- iphone/ipad
- ვინდოუსის ოპერაციული სისტემა
- IOS ოპერაციული სისტემა
- ნებისმიერი კომპიუტერული მოწყობილობა
- კომპიუტერული მოწყობილობა საჭირო არაა

სესიის გადაღება

არაკომერციული მიზნით ჩანაწერის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მომხსენებლის ნებართვით. თუ თქვენ გსურთ, რომ სესიის ვიდეოგადაღება განხორციელდეს, უნდა მონიშნოთ შესაბამისი გრაფა.

ვირტუალური პრეზენტაცია

ზოგიერთი სესია შესაძლოა შერჩეული იყოს ონლაინ ჩართვებისთვის. თუ თანახმა ხართ, რომ თქვენი სესია პირდაპირ ჩართვით გადაიცემოდეს, მონიშნეთ შესაბამისი გრაფა.

ტექნიკური მოწყობილობა

სტადარტულად სამუშაო ოთახში განთავსებული იქნება ნოუთბუქი და პროექტორის დაფა, ასევე უზრუნველყოფილი იქნება უკაბელო ინტერნეტი. თუ

დამატებით გჭირდებათ ტექნიკური მოწყობილობა ან ინვენტარი, გთხოვთ აღწეროთ ქვემოთ მოცემულ გრაფაში.

სესიის შინაარსი

* მიზანი და ამოცანები

გთხოვთ, მკაფიოდ აღწერეთ თქვენი სესიის მიზანი და ამოცანები. ამოცანებში მიუთითეთ მონაწილის მისაღწევი შედეგები, მაგ., რას ისწავლიან ან რის გაკეთებას შეძლებენ მონაწილეები სესიაში მონაწილეობის შედეგად, რა სპეციფიური უნარების წარმოჩენა და გავარჯიშება მოხდება და ა.შ. ამავე გრაფაში შეგიძლიათ აღწეროთ მოდელი/სტრატეგია/გაკვეთილის გეგმა/ინსტრუმენტები რომლის გამოყენებასაც აპირებთ.

* სესიის მონახაზი

მოკლედ აღწერეთ სესიის მსვლელობა:
შინაარსი (აქტივობები) - რა შინაარსი იქნება წარმოდგენილი?
დრო - თითოეულ კომპონენტზე რა დრო იქნება განკუთვნილი?
პროცესი - როგორ იქნებიან მონაწილეები ჩართულები პროცესში (თუ სესია ამას ითვალისწინებს)

* გამოყენებული ლიტერატურა

მიუთითეთ სტატია, წიგნი, საიტი, ან სხვა დოკუმენტი, რომელიც გამოიყენეთ სესიის დაგეგმვისას.

* მომხსენებლის გამოცდილება

აღწერეთ თქვენი გამოცდილება თემასთან მიმართებაში.

თანამომხსენებლები

თქვენი სახელი და გვარი ავტომატურად მითითებული იქნება განაცხადში, როგორც ძირითადი მომხსენებელი. შესაბამისად, მხოლოდ თქვენ გაქვთ უფლება რედაქტირება გაუკეთოთ განაცხადს.

საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაამატოთ თანამომხსენებელ(ებ)ი. შესაძლო როლები, რომელიც შეგიძლიათ მიუთითოთ თანამომხსენებლის შემთხვევაში არის:

- ✓ თანამომხსენებელი - ეს გრაფა მონიშნეთ, თუ გინდათ სესიის თანამომხსენებელი დაამატოთ. მხოლოდ ერთი თანამომხსენებლის დამატების შესაძლებლობა გაქვთ.
- ✓ დამხმარე მოსწავლე - ეს გრაფა მონიშნეთ, თუ მოსწავლე გეხმარებათ სესიის წარმართვაში.
- ✓ პანელის მოდერატორი - ეს გრაფა მონიშნეთ, თუ პლენარულ სესიას მართავთ და მოდერატორი უნდა დაამატოთ. მხოლოდ ერთი მოდერატორის დამატების შესაძლებლობა გაქვთ.
- ✓ პანელისტი - ეს გრაფა მონიშნეთ, თუ პლენარულ სესიას მართავთ და პანელისტი უნდა დაამატოთ. ორი ან სამი პანელისტის დამატების შესაძლებლობა გაქვთ.

თანამონაწილის დასამატებლად უნდა მონიშნოთ გრაფა.

- დაამატეთ თანამონაწილე

გთხოვთ, შეავსეთ გრაფები:

- თანამონაწილის სახელი და გვარი
- თანამონაწილის ელ-ფოსტა

დამხმარე მოსწავლის შემთხვევაში ელ-ფოსტის მითითება სავალდებულო არ არის. იმ პირს, რომელსაც თანამომხსენებელად დაამატებთ, ელ-ფოსტაზე მიუვა შეტყობინება, რომ ის დარეგისტრირებულია, როგორც თანამომხსენებელი. მისთვის ავტომატურად შეიქმნება ანგარიში, რომლითაც შეძლებს სისტემაში შესვლას და პროფილის ბოლომდე შევსებას. აქვე შეძლებს ძირითადი მომხსენებლის მიერ შევსებული ინფორმაციის ნახვას სესიის შესახებ, თუმცა ვერ დაარედაქტირებს. დამხმარე მოსწავლესთან ინფორმაცია სესიის შესახებ არ გამოჩნდება.